

მელვინე (III)



საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: მეღვინე

პროფესიული განათლების საფეხური: მესამე საფეხური

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მეღვინის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

პროგრამის მოცულობა: 60 კრედიტი (1500 საათი); 9.5 თვე

თეორიული სწავლება 50% - 30 კრედიტი (750 საათი)

პრაქტიკული სწავლება 50% - 30 კრედიტი (750 საათი)

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელსაც დასრულებული აქვს ზოგადი განათლების საბაზო საფეხური და ჩაბარებული აქვს ტესტირება უნარებისა და საბაზისო ცოდნის ნაწილში გამოცდების ეროვნულ ცენტრში

პროფესიული პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია მოამზადოს სტუდენტი მეღვინის პროფესიაში, რომელსაც შეეძლება საწარმოში ყურძნის მიღება, ინსპექტირება და გადამუშავება, ღვინის დამწიფება-დავარგება, ღვინომასალების დამზადება, მათი საჭირო ტექნოლოგიური პროცესების ჩატარება, ბოთლებში ჩამოსხმა და ხარისხის კონტროლი.

სწავლის შედეგი:

მეღვინე მესამე საფეხური

ცოდნა და გაცნობიერება	იცის და გაცნობიერებული აქვს: <ul style="list-style-type: none">• სხვადასხვა ტექნოლოგიური ოპერაციებისთვის დამახასიათებელი პრინციპები, როგორცაა: ქარხანაში მოზიდული ყურძნის ინსპექცია, ყურძნის გადამუშავება, ღვინომასალების დაწდომა, ლექიდან მოხსნა, საფუარის წმინდა კულტურის მიცემა, ფილტრაცია, გაწევა, ჩამოსხმა და სხვა.• ბიზნესის წარმოებისა და მენეჯმენტის ზოგადი პრინციპები; ეკონომიკის საფუძვლები; სამართლის საფუძვლები; პროფესიული საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობა; საზოგადოებასთან ურთიერთობის საფუძვლები.• ტექნოლოგიური ოპერაციებისას მიმდინარე ქიმიური პროცესების არსი.
------------------------------	---

	<ul style="list-style-type: none"> • მზა პროდუქციის ძირითადი ხარისხობრივი მაჩვენებლები და მათი შემოწმების მეთოდები. • მზა ნაწარმის ზადი, ნაკლოვანებები და ლეზულობს სათანადო ზომებს მათ გამოსასწორებლად და თავიდან ასაცილებლად.
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეძლებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • წარმოების სპეციალისტის უშუალო ხელმძღვანელობით მიიღოს და დააბინაოს სხვადასხვა ნედლეული; • უზრუნველყოს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა, უსაფრთხოდ და დანიშნულებისამებრ გამოიყენოს მანქანა-აპარატები და სხვა სამუშაო ინსტრუმენტები; • პირველადი აღრიცხვიანობის დოკუმენტაციის წარმოებას, სასაწყობე მარაგების და მატერიალური ბაზის ინვენტარიზაციის ჩატარებას; • მოამზადოს სხვადასხვა დამხმარე საშუალებები ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფილად ჩატარების მიზნით; • მარტივი ხარჯთაღრიცხვის წარმოებას; • მათემატიკური გაანგარიშების გაკეთებას, სამუშაოს დაგეგმვას და ორგანიზებას;
<p>დასკვნის გაკეთების უნარი</p>	<p>შეძლებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • ტექნოლოგის მითითების და შენიშვნების, კოლეგების მოსაზრებების და რჩევის მიღება/გათვალისწინებას და სათანადო დასკვნის გამოტანას საინტერესო ინოვაციასთან დაკავშირებით; • პრობლემის შეფასებას, ანალიზს და გადაჭრას; • სამოქმედო გეგმაზე წარმოქმნილი ნებისმიერი პრობლემის დამოუკიდებლად გადაწყვეტას; კრიტიკულ სიტუაციაში, კომპეტენციის ფარგლებში სწრაფი გადაწყვეტილების მიღებას; • როგორც გუნდურ, ასევე დამოუკიდებელი მუშაობას;
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეძლებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • ქართულ ენაზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციას; პროფესიასთან დაკავშირებით საჭირო ინფორმაციის გაგებას და გააზრებას; • ექსპერტების რჩევებისა და სფეროს სიახლეების შესახებ ინფორმაციის მოძიებას; საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას; <p>ფლობს უცხოურ ენას, რაც საშუალებას აძლევს დაამყაროს ელემენტარული კომუნიკაცია პროფესიულ საკითხებთან დაკავშირებით.</p>
<p>სწავლის უნარი</p>	<p>შეძლებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • პროფესიის შესასწავლად გათვალისწინებული პროგრამის ათვისებას და ნასწავლი მასალის გადმოცემას; • მითითებული ლიტერატურის მიხედვით და სხვისი ხელმძღვანელობითა და შეფასებაზე დაყრნობით განსაზღვროს შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელება. <p>აქვს უნარი სხვისი ხელმძღვანელობით აითვისოს და გარკვეული დამოუკიდებლობით შეასრულოს ყველა ის ტექნოლოგიური ოპერაცია, რაც საჭიროა ხარისხობრივი ალკოჰოლური სასმელების დასამზადებლად.</p>

ღირებულებები	<p>იცნობს ალკოჰოლური სასმელების დამზადების სფეროს, მის ძირითად პრინციპებს; ადექვატურად, თანამიმდევრულად და მაღალი პასუხისმგებლობით მოქმედებს სხვადასხვა ტექნოლოგიური ოპერაციების შესრულების დროს; უზრუნველყოფს გარემოს დაცვას;</p>
--------------	--

პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა)

- ლექციაზე დასწრება/სამუშაო ჯგუფში მუშაობას
- პრაქტიკულ მეცადინეობას
- ლაბორატორიული სამუშაოს
- საწარმოო პრაქტიკას
- დამოუკიდებელ მუშაობას
- გამოცდების (შუალედური და დასკვნითი) ჩაბარებას

პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა.

პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება დაუშვებელია.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

შეფასების ფორმა:

- შუალედური შეფასება
- დასკვნითი შეფასება

შეფასების მეთოდი:

- ტესტირება
- ზეპირი გამოკითხვა
- ჯგუფური/ინდივიდუალური პროექტი
- დაკვირვება და დემონსტრირება

სწავლების მეთოდები

- თეორიული სწავლება
- პრაქტიკული მეცადინეობა
- ლაბორატორიული სამუშაო
- სასწავლო პრაქტიკა
- საწარმოო პრაქტიკა

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა:

სტუდენტს აქვს უფლება გააგრძელოს სწავლა მედიცინის სპეციალობის მეოთხე საფეხურზე.